



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1765
08/10/2018

ქალაქი ბათუმი

1765-05-4-201810081702



ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437-ე დადგენილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის ქეთევან დევაძის 2018 წლის 05 ოქტომბრის №2907-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქმედო ინსტრუქცია თანახმად დანართისა.
2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების და კულტურის სამსახურს და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილებას უზრუნველყონ აღნიშნული ინსტრუქციით განსაზღვრული მოვალეობის შესრულება.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 ივნისის №614 ბრძანება.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირებზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების და საქმისწარმოების განყოფილებას.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა